კომერციული იურიდიული პირების დაფუძნებისას საჯარო რეესტრის ფუნქცია, მოქმედი და ახალი კანონპროექტის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

ლიკა ჩხიტუნიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის სკოლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო(ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ ცერცვაძე, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლიკა ჩხიტუნიძე

2021 წელი

აბსტრაქტი

კომერციული იურიდიული პირები იურიდიულ არსებობას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შედეგად იწყებენ. მათთვის რეგისტრაციას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს, რადგან რეგისტრაციის შედეგად იძენენ უფლებებსა და მოვალეობებს. საჯარო რეესტრი მათი მარეგისტრირებელი ორგანოა, რომელიც რეგისტრაციის ეტაპზე ამოწმებს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტების ფორმალურ დასაშვებობას და იღებს გადაწყვეტილებას დაარეგისტრიროს საწარმო და მოამზადოს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან თუ მიიღოს რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია ის წინაპირობები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სადამფუძნებლო შეთანხმება - წესდება. საჯარო რეესტრი სწორედ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტების ფორმალურ დასაშვებობას ამოწმებს და არ შედის მისი შინაარსობრივი მხარის შემოწმებაში. საჯარო რეესტრი სხვადასხვა ბაზებზე დაყრდნობით ამოწმებს რამდენად დასაშვებია წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტები სარეგისტრაციო მიზნებისათვის. დღეს მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონი უამრავ კითხვას ტოვებს და არაპროგნოზირებად გარემოს ქმნის მეწარმე სუბიექტებისათვის. მასში უამრავი ისეთი საკითხია დაურეგულირებელი, რაც რეგისტრაციის ეტაპზე უნდა გაითვალისწინონ განმცხადებლებმა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პროექტი უფრო ლიბერალურია და დაეხმარება ბიზნესს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. კვლევის ფარგლებში „მეწარმეთა შესახებ“ კანონის დღეს მოქმედი და ახალი კანონპროექტის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ფარგლებში გაანალიზებულია რეგისტრაციის მიზნებისათვის ის სიახლეები, რომლებიც ახალი კანონპროექტის ამოქმედებას მოჰყვება შედეგად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კომერციული იურიდიული პირების რეგისტრაცია, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რეგისტრაციის წინაპირობები.

ABSTRACT

Commercial legal entities start their legal existence only as a result of registration in the National Agency of Public Registry. For them, registration has constitutional importance, because as a result of registration they acquire rights and responsibilities. The Public Registry is their registrar body, which checks the formal admissibility of the registration documents submitted by the applicant at the registration stage and takes the decision to register the enterprise and prepare an extract from the entrepreneurial register or takes the decision to refuse registration. By the Law of Georgia "on Entrepreneurs" is foreseen the preconditions that must be met the founding agreement submitted for registration - the Charter. The Public Registry verifies only the formal admissibility of the submitted registration documents and does not check its content. On the basis of various databases the Public Registry checks whether the submitted registration documents are permissible for registration purposes, which requires scrupulous observation. The current law "on Entrepreneurs" leaves a lot of questions and creates an unpredictable environment for entrepreneurs. There are a lot of unregulated issues that applicants should consider at the registration stage. The project of the Law "on Entrepreneurs" is more liberal and will help businesses get better results in attracting investment. Within the framework of the research, within the framework of the comparative-legal analysis of the current and new draft of law "on Entrepreneurs", the innovations for the purposes of registration that will follow the enactment of the new draft law are analyzed.

Main keywords: Registration of Commercial Legal Entities, National Agency of Public Registry, Prerequisites for Registration.